საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლუხუნი

ლუხუნი, მდინარე ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. მდ. რიონის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ლეჩხუმის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2650 მ სიმაღლეზე. სიგრძე 39 კმ, აუზის ფართ. 239 კმ ^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულ-ზაფხულში, წყალმცირობა – ზამთარში, წყალმოვარდნები – შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი 12,1 მ ^{3}/წმ. მდინარის ქვემო დინებას იყენებენ ხეტყის დასაცურებლად.